

შეთანხმება

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და უკრაინის მინისტრთა კაბინეტი, შემდგომში „ხელშემკვრელი მხარეები“,

ეყრდნობიან რა თანასწორუფლებიანი პარტნიორობის და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპებს,

ალიარებენ რა როგორც ურთიერთმიწოდებითი, ასევე მესამე ქვეყნებში გვირთების გადაზიდვების განსაკუთრებულ მნიშვნელობას,

გამოხატავენ რა მისწრაფებას ხელი შეუწყონ ევროპა-კავკასია-აზიის საგრანსპორტო დერეფნის განვითარებას ქ.ბაქოში 1998 წლის 8 სექტემბერს ხელმოწერილი საერთაშორისო გრანსპორტის შესახებ ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარებისათვის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების შესაბამისად,

ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის რეგულარული საერთაშორისო პირდაპირი საგვირთო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზაციის მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განსაზღვრებები:

1. „ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები“:

ბულგარეთის მხრიდან - ბულგარეთის რესპუბლიკის გრანსპორტის სამინისტრო.

საქართველოს მხრიდან – საქართველოს გრანსპორტის სამინისტრო.

უკრაინის მხრიდან – უკრაინის გრანსპორტის სამინისტრო.

2. „დანიშნული საწარმოები“

ბულგარეთის მხრიდან:

ეროვნული კომპანია „ბულგარეთის სახელმწიფო რკინიგზა“ (НК БДЖ);

სანაოსნო „ბულგარეთის საზღვაო ფლოტი“ АД (БМФ АД);

საბორნე კომპლექსი ვარნა.

საქართველოს მხრიდან:

საქართველოს სარკინიგზო გრანსპორტის დეპარტამენტი;
ბათუმის საზღვაო ნავსადგური;
ფოთის საზღვაო ნავსადგური;

უკრაინის მხრიდან:
უკრაინის სარკინიგზო გრანსპორტის სახელმწიფო ადმინისტრაცია
(უკრმალიზნიცია);
საზღვაო კომპანია (სკ) უკრფერრი;
ილიჩევსკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური.

3. „სანავსადგურო გადასახადები“ – საგონაეო (სახომალდე), არხის, შუქურის, სანავისადგომო, საგვიროთო, ლუმის, ადმინისტრაციული, სანიტარული და საზღვაო მედლაწესებულებების გადასახადები.

მუხლი 2

1. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ და აუცილებელ დახმარებას უწევენ ერთმანეთს სამ ქვეყანას შორის საგვიროთო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის შემდგომი განვითარების მიზნით.

2. ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით იცავენ გვიროთების გადაზიდვების მოქმედ წესებს გრანსპორტის სფეროში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომელთა წევრებიც არიან ხელშემკვრელი მხარეები.

3. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, ეროვნული კანონმდებლობისა და მოქმედი საერთაშორისო წესების ფარგლებში, უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს გვიროთების შეუფერხებელი გრანსპორტირებისათვის, მოძრავი შემადგენლობის გატარებისათვის როგორც სამხრივი სარკინიგზო საბორნე მიმოსვლისას, ასევე მათი სახელმწიფოს ტერიტორიებზე გრანზიგისას შესამე ქვეყნებში.

მუხლი 3

ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები თავიანთ დანიშნულ საწარმოებს ანიჭებენ უფლებამოსილებას ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ტექნიკური, საექსპლუატაციო და სხვა საკითხების მომწესრიგებელი ხელშეკრულებების გასაფორმებლად საერთაშორისო ნორმებისა და ხელშემკვრელ მხარეთა სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები უზრუნველყოფენ ერთმანეთის დაუყოვნებლივ ინფორმირებას მათი სახელმწიფოების ტერიტორიებზე სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის განხორციელებისათვის დაბრკოლების წარმოშობის, ასევე ასეთი დაბრკოლების თავიდან აცილების შესახებ.

მუხლი 5

1. ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოები თითოეული ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ურთიერთშეთანხმებით მიავლენენ მომსახურე პერსონალს ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ამოცანათა შესასრულებლად.

2. ერთი ხელშემკვრელი მხარის მომსახურე პერსონალი სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიებზე ასრულებს თავის ვალდებულებებს საერთაშორისო ნორმების, მიმღები მხარის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობისა და შეთანხმებული სამსახურებრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

3. ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულებისათვის ხელშემკვრელ მხარეთა მომსახურე პერსონალის მიერ სახელმწიფო საბჭურის გადაკვეთა განხორციელდება დადგენილ გამშვებ პუნქტებში ხელშემკვრელ მხარეთა სახელმწიფოების კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშემკვრულებების შესაბამისად.

მუხლი 6

1. ოპერატიული მართვის უზრუნველსაყოფად იქმნება დირექტორთა საბჭო ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის ერთობლივი ექსპლუატაციისათვის, შემდგომში დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოების წარმომადგენლებისაგან.

2. დირექტორთა საბჭოს საქმიანობა განხორციელდება დირექტორთა საბჭოს შესახებ დებულების შესაბამისად, რომელიც მტკიცდება მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 7

1. ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის რეგულარული სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის განსახორციელებლად ხელშემკვრელ მხარეთა სანაოსნო საწარმოები, ხსენებულ მიმართულებებზე სამუშაოდ მიამაგრებენ შევორება-გამოვორების საშუალებებით შესაბამისად აღჭურვილი საბორნე ხომალდების შეთანხმებულ რაოდენობას.

2. ხელშემკვრელ მხარეთა სანაოსნოს საწარმოებს ურთიერთშეთანხმებით, გადასაზიდვით დაგეგმილი გვირთების მოცულობიდან გამომდინარე, სხვა დანიშნულ საწარმოებთან შეთანხმებით, უფლება აქვთ გაზარდონ ან შეამცირონ საბორნე გადასასვლელზე მომუშავე საბორნე ხომალდების საერთო რაოდენობა ყოველი სანაოსნო საწარმოს კალენდარული წლის განმავლობაში თანაბარი რაოდენობის რეისზე უფლების პრინციპის დაცვით.

მუხლი 8

ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოები ვარნის (ბულგარეთის

რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლისას (პსსმ) გვირთების ვაგონებით გადაზიდვების უზრუნველსაყოფად სარგებლობენ 1520 მმ სიგანის ლიანდის სარკინიგზო საგვირთო ვაგონებით.

საგვირთო ვაგონების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის პირობები, ვაგონების მიწოდებისა და სარგებლობის პირობები რეგულირდება დანიშნულ საწარმოებს შორის დადებული შეთანხმებით ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის საგვირთო ვაგონების ექსპლუატაციის ორგანიზაციის შესახებ.

მუხლი 9

საბორნე ხომალდებზე ან საბორნე ხომალდებიდან სარკინიგზო ვაგონების შეგორება-გამოგორება ხორციელდება ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებში სპეციალურ საბორნე ნავმისადგომებზე საბორნე კომპლექსების ექსპლუატაციის ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომელიც მტკიცდება ღირექტორთა საბჭოს მიერ.

მუხლი 10

ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოები დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთი ხომალდების, სანაპირო სანავმისადგომო ნაგებობების ექსპლუატაციას, იღებენ ამასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და პასუხისმგებლობას პრევენციებისა და სარჩელების შესახებ.

მუხლი 11

ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის საბორნე ხომალდების მოძრაობა ხორციელდება განრიგით. განრიგის შედგენის, დამტკიცებისა და გამოქვეყნების წესებს განსაზღვრავს ღირექტორთა საბჭო.

მუხლი 12

საბორნე ხომალდებით გვირთების გადაზიდვა ხორციელდება, ბულგარეთის რესპუბლიკას, საქართველოსა და უკრაინას შორის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლისას ვაგონებით გვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად, რომლებიც მტკიცდება ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

საერთაშორისო მიმოსვლისას გვირთების გადაზიდვისათვის გამოიყენება ერთიანი გადასაზიდი დოკუმენტი – საერთაშორისო საგვირთო გადაზიდვების შესახებ შეთანხმების (სსგშ) ბეღდებულს.

მუხლი 13

საბორნე ხომალდებით ტვირთების ვაგონებით გადაზიდვებზე გადასახადი დაირიცხება ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის საბორნე ხომალდებით ტვირთების ვაგონებით გადაზიდვებზე გარიფის მიხედვით, რომელიც მტკიცდება ხელშემკვრელ მხარეთა სანაოსნო საწარმოების მიერ.

მუხლი 14

1. საბორნე ხომალდები, მათზე განლაგებული საგრანსპორტო საშუალებები და ტვირთები დროებით, სამი წლის ვადით თავისუფლებიან სანავსადგურო გადასახადისაგან. მხარეთა წერილობითი თანხმობით შეღავათიანი რეჟიმი შეიძლება გაგრძელებულ იქნას.

2. პირდაპირი სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლაში საქართველოს მხარის მიერ ხაზზე ხომალდის ამ შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად დაყენებამდე, საქართველოს ნავსადგურებში საბორნე ხომალდების სანავსადგურო გადასახადებისაგან განთავისუფლება ეხება: არხის, საგონაქო (სახომალდე), სანავმისადგომო და შუქურის გადასახადებს.

3. ნავსადგურებში საბორნე ხომალდებთან დაკავშირებული მომსახურეობა ანაზღაურდება ხელშემკვრელ მხარეთა სანაოსნო საწარმოების მიერ, მომსახურების გამწვევ ნავსადგურებში მოქმედი წესებისა და გარიფების შესაბამისად.

მუხლი 15

საბორნე ხომალდებით ტვირთების გადაზიდვებზე ანგარიშსწორება სანაოსნო საწარმოებს შორის წარმოებს ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა), ფოთისბათუმის (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის საზღვაო მონაკვეთზე პირდაპირი საგვირთო სარკინიგზო-საბორნე გადაზიდვისას ტვირთების ვაგონებით გადაზიდვებზე ანგარიშსწორების წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება ხელშემკვრელ მხარეთა სანაოსნო საწარმოების მიერ.

მუხლი 16

სავაგონო ურიკების შეცვლის, ერთი სიგანის ლიანდის ვაგონიდან მეორე სიგანის ლიანდის ვაგონში ტვირთის გადატვირთვის, გადასაზიდვი ტვირთების დამაგრების სამუშაოთა და სხვა მომსახურების ანაზღაურებას ვარნის საბორნე კომპლექსზე ბულგარეთის მხარის რკინიგზისათვის ტვირთმფლობელები (ექსპედიტორები) ახორციელებენ დადგენილი გარიფებით ბულგარეთის რესპუბლიკის სარკინიგზო ქსელში გადაზიდვების ანაზღაურებასთან ერთად.

მუხლი 17

საგრანსპორტო ოპერაციებს სარკინიგზო წინასაბორნე ფარეხში ვაგონების ფორმირების დაწყებიდან საბორნე ხომალდზე ვაგონების განთავსების მომენტამდე, ასევე უკუ მიმართულებით, ანაზღაურებენ თითოეული ქვეყნის ტვირთმფლობელები (ექსპედიტორები) იმ ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოს მიერ დადგენილი

გარიფების მიხედვით, რომლებიც ახორციელებენ ამ ამ საგრანსპორტო ოპერაციებს.

მუხლი 18

1. პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლისას იმ გადაზიდული ტვირთების ნომენკლატურისა და მოცულობის შეთანხმება, რომლებიც მოითხოვენ გადაზიდვის განსაკუთრებულ პირობებს, წარმოებს ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნული საწარმოების მიერ.

2. საშიში ტვირთებისა და სპეციალური ქონების გადაზიდვა ხორციელდება ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებითა და პირობებით.

მუხლი 19

ხელშემკვრელ მხარეთა დანიშნულ საწარმოებს ოპერატიული სამუშაოების განსახორციელებლად უფლება აქვთ ვარნის, ფოთის ბათუმისა და ილიჩევსკის საბორნე კომპლექსებში გახსნან წარმომადგენლობები.

მუხლი 20

დანიშნულ საწარმოებს შორის ამ შეთანხმების გამოყენებისას ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი უთანხმოებანი ექვემდებარება განხილვას ღირექტოთა საბჭოს მიერ.

ღირექტოთა საბჭოს მიერ შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიუღწევლობისას, დავები გადაწყდება ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ უშედეგო პირდაპირი მოლაპარაკებებებისა და კონსულტაციების შემთხვევაში, უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებების გზით ან დიპლომატიური გზით.

მუხლი 21

1. ეს შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.

2. ეს შეთანხმება ნებისმიერ დროს შეიძლება დენონსირებულ იქნას თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ. შეთანხმება წყვეტს თავის მოქმედებას ერთ-ერთი მხარის მიერ სხვა ხელშემკვრელი მხარეებისადმი ამის შესახებ დიპლომატიური გზით წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

3. ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს მისი მოქმედების პერიოდში მიღებული ვალდებულებებისა და შეთანხმებების შესრულებისაგან მათი მოქმედების ვადის დამთავრებამდე.

მუხლი 22

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელ მხარეთა ეროვნული

კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის შემდეგ.

2.ამ შეთანხმებაში შესული ცვლილებები და დამატებები ფორმდება ოქმებით, რომელიც თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების თანახმად დამტკიცების შემდეგ ხდება შეთანხმების განუყოფელი ნაწილი.

3.ამ შეთანხმების ძალაში შესვლა არ წყვეტს ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის ვარნის (ბულგარეთის რესპუბლიკა) და ილიჩევსკის (უკრაინა) ნავსადგურებს შორის საბორნე გადასასვლელის ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ 1995 წლის 20 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმების მოქმედებას.

შესრულებულია ქ.ფოთში 1999 წლის „ 17 „ აპრილს, სამ ნამდვილ პირად, თითოეული ბულგარულ, ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენაზე. ამასთან ყველა ტექსტს აქვს ერთნაირი ძალა. ამ შეთანხმების დებულებების განმარტების დროს შეთანხმებების წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სახელით